საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის

დირექტორი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 1-217

12/08/2015

ქ.თბილისი

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორის 2015 წლის 20 ივლისის №1-196 ბრძანებით გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 და მე-11 პუნქტებისა და ამავე დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით თანდართული „გრანტის გაცემის წესის” მე-10 მუხლის პირველი, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის (შემდგომში - სწავლების ცენტრი) დირექტორის 2015 წლის 20 ივლსის №1-196 ბრძანებით გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) დავით ღონღაძე - საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES);

ბ) თინათინ ბოლქვაძე - ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო;

გ) ანა ფაშალიშვილი - გაეროს ქალთა ორგანიზაცია;

დ) მარიამ ჩიხლაძე - ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი (NIMD);

ე) შორენა ღარიბაშვილი - კონრად ადენაუერის ფონდი (KAS);

ვ) ნინო ჯაფიაშვილი - ჟურნალისტიკისა და მედია-მენეჯმენტის კავკასიური სკოლა;

ზ) თეონა ყუფუნია - საერთაშორისო ურთიერთობების ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI);

თ) ნინო დოლიძე - საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI);

ი) ნინო გოგოლაძე - ეროვნული უმცირესობების საკითხებზე ეუთოს უმაღლესი კომისარის წარმომადგენლობა (OSCE HCNM

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის ,,ზ“, ,,თ“ და ,,ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები კომისიის საქმიანობაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილმა კომისიამ უზრუნველყოს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით თანდართული „გრანტის გაცემის წესით“ კომისიისთვის განსაზღვრული საქმიანობის განხორციელება.
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.
5. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ნინო ბერულავა



დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი